



TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

სხდომის ოქმი № 10 / 2017

თბილისი

30 ნოემბერი 2017 წ.

სხდომის დაწყების დრო: 14.00

სხდომის დასრულების დრო: 15.00

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვალენტინა საყვარელიძე – აკადემიურის საბჭოს თავმჯდომარე, თჰუ რექტორი;
2. კახი ყურაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
3. ილონა საყვარელიძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
4. ტატიანა ზუბიაშვილი (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
5. მაკა კაჭარავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
6. ირინა ჯობავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
7. ირმა დიხამინჯია (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
8. მადონა გელაშვილი (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი).

ქვორუმი: 5

სხდომის თავმჯდომარე: ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. თჰუ დებულების მოდიფიცირების თაობაზე (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი);

მოისმინეს:

პროფ. კახი ყურაშვილის ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები, რომელიც უკავშირდება აკადემიური პერსონალის უსდ-თან აფილირებულობის საკითხს. შესაბამისად, უნდა მოდიფიცირდეს თჰუ დებულებაც. კერძოდ რედაქტირებულ უნდა იქნას თჰუ დებულების შემდეგი მუხლები: მომხსენებელი კითხილობს ცვლილებებს:

1) მე-20 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები და აფილირებულობა

9.1. აკადემიური პერსონალის ღია კონკურსით არჩევის შემდეგ რექტორის მიერ გამოიყვანება ბრძანება მათი აკადემიურ თანამდებობებზე განწესების შესახებ;

9.2. აკადემიურ პერსონალთან ასევე ფორმდება შრომითი ხელშეკრულება საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადით ან უვადოდ;

9.3. აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტთან აფილირებულია თუ:

ა) მასთან დადებულია „A“ კატეგორიის შრომის ხელშეკრულება და მას არ აქვს დადებული სხვა უსდ-თან აფილირებულობის შესახებ შეთანხმება ან/და აფილირებულობის დამადასტურებელი შრომის ხელშეკრულება;

ბ) იგი საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში მონაწილეობს მხოლოდ საკუთარი ან თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სახელით;

გ) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში გააჩნია შესაბამისი მინიმალური აკადემიური დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება რექტორის ბრძანებით; აფილირებულ აკადემიურ პერსონალს არ ეკისრება შესაბამისი მინიმალური აკადემიური დატვირთვის შესრულების ვალდებულება, თუ:

გ.ა) არც ერთ სხვა უსდ-თან არ თანამშრომლობს;

გ.ბ) პარალელურად დასაქმებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ/დამხმარე (არა აკადემიურ) პოზიციაზე.

9.4. აკადემიურ პერსონალთან, რომელიც არ არის აფილირებული უნივერსიტეტთან, იდება „B“ კატეგორიის შრომის ხელშეკრულება;

9.5. აკადემიურ პერსონალთან დასაძებნი შრომის ხელშეკრულების ფორმები (კატეგორიები) მტკიცდება რექტორის ბრძანებით.“

2) მე 20 მუხლის მე-15 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მოწვეულ პერსონალთან ფორმდება „C“ კატეგორიის ვადიანი შრომითი ხელშეკრულება 1 სასწავლო წლის ან სემესტრის მანძილზე.“

პროფ. კ. ყურაშვილმა წარმოადგინა მოდიფიცირებული დებულების პროექტი დანართის სახით და აუდიტორიას სთხოვა, რომ მხარი დაუჭირონ მის წინადადებას და მოდიფიცირებული თპუ დებულება (მეორე რედაქცია) დასამტკიცებლად წარუდგინონ თპუ წარმომადგენლობით საბჭოს.

აზრი გამოთქვას: პროფ. ვ. საყვარელიძემ და პროფ. ი. დიხამინჯიამ.

კენჭისყრის შედეგი: ერთხმად

გადაწყვიტეს:

1. მოწონებულ იქნას და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს თპუ დებულებაში (მეორე რედაქცია) ცვლილება—დამატებების შეტანის პროექტი – მოდიფიცირებული დებულება, დანართი N1-ის სახით;
2. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

აკადემიური საბჭოს მდივანი:



ვ. საყვარელიძე

კ. ყურაშვილი